,,წერილი ევროპელ თანატოლს-დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე”

გულით მოგესალმები საქართველოდან პატარა, მაგრამ ძლიერი და ამაყი ქვეყნიდან, სადაც მზე თითქმის ყოველთვის ანათებს და გულში თავისუფლების სიყვარული მუდმივად ცოცხლობს.

შეიძლება ჩვენი გზები არასდროს გადაკვეთილა, მაგრამ მჯერა, რომ ერთი თაობის შვილები უფრო ვგავართ ერთმანეთს, ვიდრე გვგონია. შენს ქვეყანაში თავისუფლება, დემოკრატია და ადამიანური უფლებები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მაგრამ ჩემთვის საქართველოს მერვეკლასელი გოგოსთვის ეს სიტყვები ჯერ კიდევ გზაა, რომელსაც ჩემი ქვეყანა დიდი ძალისხმევით გადის.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა 26 მაისს აღინიშნება ეს დღე არის იმ ოცნებაზე დაფუძნებული, რაც საუკუნეების განმავლობაში ბევრ თაობას უმძაფრდებოდა გულში: დამოუკიდებელი, ღირსეული და თავისუფალი საქართველო. ეს არ იყო მარტივი გზა. ომები, ოკუპაცია, დაკარგული ტერიტორიები, ტკივილი... მაგრამ ამ ტკივილთან ერთად მოდიოდა სიძლიერეც, რწმენაც და იმედი, რომ თავისუფლება არა მხოლოდ სიტყვა, არამედ რეალური ცხოვრების წესი გახდებოდა. 1991 წელს, მრავალწლიანი სიჩუმის შემდეგ, საქართველო კვლავ დამოუკიდებელი გახდა. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არც მშვიდობით მოჰგვრია და არც სტაბილურობით. მოჰყვა სამოქალაქო ომები, ეკონომიკური კრიზისი და მტერი, რომელიც დღემდე აკავებს ჩვენს ტერიტორიებს.

თუმცა იყო სიკაშკაშეც თავისუფალი არჩევნები, ახალგაზრდების ხმა, ძლიერი საზოგადოება და ნელ-ნელა ევროპისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი.

მე, როგორც ამ ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი მოზარდი, თავისუფლებას ჯერ კიდევ პროცესად ვხედავ. გვაქვს არჩევანი, მაგრამ ბევრ რამეში ჯერ კიდევ ვიბრძვით აზრის თავისუფლებისთვის, განათლების ხარისხისთვის, ღირსეული მომავლისთვის.

ჩვენი თაობა იმედიანია. ჩვენ ვესაუბრებით ერთმანეთს ინტერნეტით, ვსწავლობთ უცხო ენებს, ვკითხულობთ ერთნაირ წიგნებს და გვჯერა საერთო ღირებულებების. ევროპული ოჯახი ჩვენთვის არაფორმალური სიტყვა არაა ეს არის მიზანი, რომელსაც თან ახლავს პასუხისმგებლობა. დამოუკიდებლობა ჩვენთვის ნიშნავს თავისუფლების დაწყებას, ხოლო თავისუფლება მისი ღირსეულად გამოყენებას.

დღესაც, როცა საქართველოს გარკვეული ტერიტორიები ოკუპირებულია და ზოგიერთი გადაწყვეტილება შორსაა ევროპული სტანდარტებისგან, ჩვენ მაინც

ვირჩევთ იმ გზას, რომელსაც „ევროპული არჩევანი“ ჰქვია. ეს ნიშნავს სიტყვის თავისუფლებას, განათლებაზე ხელმისაწვდომობას და ადამიანური ღირსების პატივისცემას იმ ღირებულებებს, რომლითაც თქვენი საზოგადოება სუნთქავს.

მე მჯერა, რომ ერთ დღეს საქართველოში ყოველი ბავშვი გაიზრდება ისეთივე დაცულ გარემოში, როგორც შენ. მჯერა, რომ ჩვენ ერთად ავაშენებთ სივრცეს, სადაც ქვეყნები ერთმანეთის მხარდამჭერები იქნებიან და არა მტრები.

შეიძლება ჯერ კიდევ შორს ვართ იდეალურ თავისუფლებამდე, მაგრამ ჩვენ უკვე არ ვტოვებთ იმ გზას, რომელიც დამოუკიდებლობით დაიწყო. ჩვენ ვიცით მისი ფასი და ჩვენთვის თავისუფლება იგივეა, რაც სუნთქვაა აუცილებელი, თუმცა ხშირად დაუფასებელი.

გმადლობ, რომ მოუსმინე ჩემს გულს.

მეგობრული მოკითხვით საქართველოდან,

მარიამ კილასონია

VIII კლასი

ფოთი, საქართველო.